EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი № 8177/12 მალხაზ მზექალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2015 წლის 10 თებერვლის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

პოლ მაჰოუნი, *თავმჯდომარე,*

ნონა წოწორია,

კშიშტოფ ვოიტიჩეკი, *მოსამართლეები,*

და ფატოშ არაჯი, *სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,*

მხედველობაში მიიღო რა 2012 წლის 3 თებერვალს შემოტანილი ზემოაღნიშნული საჩივარი,

მხედველობაში მიიღო რა ის ოფიციალური დეკლარაციები, რომლითაც მოხდა საქმის მორიგებით დასრულება,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი, ბ-ნი მალხაზ მზექალიშვილი არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1994 წელს და ცხოვრობს თბილისში. სასამართლოში მას წარმოადგენდა ბ-ნი ი. ხატიაშვილი, ადვოკატი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს თბილისში.

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა ბ-ნი ლ. მესხორაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

3. მხარეთა მიერ საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილი ფაქტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.

4. საქმე ეხებოდა თელავის პოლიციის განყოფილების თანამშრომლების მიერ მომჩივნის მიმართ 2006 წლის 6 აპრილს განხორციელებული იმ სავარაუდო

სასტიკი მოპყრობის ფაქტის სისხლისსამართლებრივი გამოძიების არასათანადოდ ჩატარებას, როდესაც მომჩივანი ძარცვის ბრალდებით დააპატიმრეს.

5. 2006 წლის 16 აპრილს კახეთის საოლქო პროკურატურამ დაიწყო პოლიციის თანამშრომლების მიერ მომჩივნის მიმართ განხორციელებული სავარაუდო სასტიკი მოპყრობის ფაქტის გამოძიება. თუმცა, არანაირ საგრძნობ პროგრესს ადგილი არ ჰქონია; ამ გამოძიების დროს მომჩივნისთვის მსხვერპლის სტატუსიც კი არ მიუნიჭებიათ.

6. 2014 წლის 14 იანვარს მთავრობას, კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების თანახმად, გადაეცა შეტყობინება საჩივრის შეტანის თაობაზე.

7. 2014 წლის 23 მაისს ევროსასამართლომ მთავრობისგან მიიღო შემდეგი დეკლარაცია:

> „მხედველობაში იღებს რა მომჩივნის მიერ კონვენციის საფუძველზე წარმოდგენილ მოთხოვნებს, კერძოდ კი, მთავრობისთვის კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების თანახმად მიწოდებულ იმ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება მომჩივნის მიმართ სავარაუდო სასტიკი მოპყრობის საკითხს;
>
> ითვალისწინებს რა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მომჩივნის მიმართ განხორციელებული სავარაუდო სასტიკი მოპყრობის ფაქტის გამოძიების პროცესში გამოვლენილ გარკვეულ ხარვეზებს;
>
> გამოთქვამს რა მზადყოფნას რათა ზემოაღნიშნული საქმე მორიგებით დასრულდეს, მთავრობა ვალდებულებას იღებს, რომ განახორციელებს ყველა შესაძლო საგამოძიებო მოქმედებას [პროკურატურის ორგანოში] მიმდინარე გამოძიების ბოლომდე მისაყვანად და გადაიხდის 4,500 (ოთხიათას ხუთას) ევროს ნებისმიერი ფულადი და არაფულადი ზარალის და ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად, ასევე ნებისმიერ გადასახადს, რომელიც შეიძლება შეეხოს მომჩივანს.
>
> ეს თანხა გადაყვანილი იქნება ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული ვალუტის გაცვლის კურსის შესაბამისად. თანხის გადახდა მოხდება აღნიშნული საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში. ამ თანხის ზემოაღნიშნული სამი თვის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მთავრობა ვალდებული იქნება, გადაიხადოს ამ თანხაზე დარიცხული მარტივი პროცენტი, რომელიც მოიცავს ამ ვადის ამოწურვიდან გადახდის შესრულებამდე პერიოდს. პროცენტის გადახდა მოხდება იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება გადაცილებულ პერიოდში მოქმედ ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს პლუს სამი პროცენტული პუნქტი. თანხის გადახდით დასრულდება აღნიშნული საქმე.“

8. 2014 წლის 6 ოქტომბრის წერილით მომჩივანმა ევროსასამართლოს აცნობა, რომ მზად იყო მიეღო საქმის მოგვარებასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ შეთავაზებული პირობები და უარს ამბობდა სხვა დამატებით პრეტენზიებზე. მან ყურადღება გაამახვილა მთავრობის მიერ ნაკისრ ვალდებულებაზე მისთვის ზემოაღნიშნული ოდენობის კომპენსაციის გადახდისა და პოლიციის

თანამშრომლების მიერ მის მიმართ 2010 წლის 6 აპრილს განხორციელებული სასტიკი მოპყრობის ფაქტის ეფექტური გამოძიების ჩატარების თაობაზე.

სამართალი

9. ევროსასამართლო მხედველობაში იღებს მხარეებს შორის საქმის მოგვარებასთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას. იგი კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ მიღწეული შეთანხმება ეფუძნება ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემას, როგორც კონვენციასა და მის ოქმებშია განსაზღვრული, და თვლის, რომ არ არსებობს საჩივრის განხილვის გაგრძელების რაიმე საფუძველი.

10. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული საქმე ამოირიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

ამის გათვალისწინებით, ევროსასამართლომ ერთხმად:

მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საჩივარი, კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად, ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

შედგენილია ინგლისურ ენაზე და წერილობითი შეტყობინება გაგზავნილია 2015 წლის 5 მარტს.

ფატოშ არაჯი	პოლ მაჰოუნი
სექციის განმწესრიგებლის მოადგილე	თავმჯდომარე